“დინამო” – “ლოკომოტივი”

კვირას, 2 სექტემბერს, ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ლოკომოტივის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. აღნიშნული გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ჩატარდა მოსკოვში და თბილისელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, დამთავრდა მოულოდნელი ყაიმით 1:1.

შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

თბილისელთა უპირატესობა მეორე ტაიმში უფრო გამოჩნდა. თამაშის ბოლო წუთებში თბილისელ თავდამსხმელთა მარცხენა ფრთამ ენერგიული და კომბინაციური თამაშით, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა, დაუღალავი ფეხბურთელი ღოღობერიძე, მოუპოვა გუნდს გამარჯვება. ბერეჟნოიმ, ღოღობერიძემ და პაიჭაძემ ზედიზედ გაიტანეს სამი ბურთი მოწინააღმდეგის კარში.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის ‘დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით – 3:0.

მორიგი შეხვედრა თბილისელებს ექნებათ 9 სექტემბერს კიევში ადგილობრივ “დინამოსთან”.

“კომუნისტი”, 9 სექტემბერი 1945 წ.